შპს "ა. მ. ტრანს"

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 3

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება..... 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. ძირითადი საშუალებები 14
5. მარაგები..... 14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 15
7. ფული და ფულის ექვივალენტები..... 15
8. სასესხო ვალდებულებები 15
9. ამონაგები..... 16
10. სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება..... 16
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 17
12. პირობითი ვალდებულებები 17
13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან..... 18
14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები..... 18

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ა. მ. ტრანს“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე	**მამუკა ბედინეიშვილი**
დირექტორი ----------	**მთავარი ბუღალტერი** ----------
2025 წლის 1 ოქტომბერი	2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი	საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1 113 532	923 515
არამატერიალური აქტივები		588	400
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1 114 120**	**923 915**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	5	2 451	3 421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	113 925	132 966
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		93 579	64 171
წინასწარ გადახდილი გადასახადები		12 088	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		302	6 120
ფული და ფულის ექვივალენტები	7	122 254	27 471
სულ მიმდინარე აქტივები		**344 599**	**234 149**
სულ აქტივები		**1 458 719**	**1 158 064**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		904 147	890 341
სულ კაპიტალი		**904 147**	**890 341**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	446 467	205 847
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**446 467**	**205 847**
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		20 510	13 622
მიღებული ავანსები		-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	81 359	44 887
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6 236	3 367
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**108 105**	**61 876**
სულ ვალდებულებები		**554 572**	**267 723**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1 458 719**	**1 158 064**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე

დირექტორი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი

მთავარი ბუღალტერი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ამონაგები	9	2 369 583	1 761 584
სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება	10	(2 143 266)	(1 522 920)
საერთო მოგება		**226 317**	**238 664**
სხვა შემოსავლები		3 176	12 900
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(130 009)	(80 932)
სხვა ხარჯები		(51 574)	(37 389)
საოპერაციო მოგება		**47 910**	**133 243**
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(18 109)	(12 260)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(15 995)	2 614
მოგება დაბეგვრამდე		**13 806**	**123 597**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**13 806**	**123 597**
სხვა სრული შემოსავალი:		-	18 420
მთლიანი სრული შემოსავალი		**13 806**	**142 017**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე

დირექტორი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი

მთავარი ბუღალტერი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022		**-**	**748 324**	**-**	**748 324**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	142 017	-	**142 017**
გადახდილი დივიდენდები		**-**	-	-	**-**
სარეზერვო კაპიტალის ცვლილება			-	-	**-**
ნაშთი 31 დეკემბერი 2023		**-**	**890 341**	**-**	**890 341**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	13 806	-	**13 806**
გადახდილი დივიდენდები		**-**	-	-	**-**
სარეზერვო კაპიტალის ცვლილება		**-**	-	-	**-**
ნაშთი 31 დეკემბერი 2024		**-**	**904 147**	**-**	**904 147**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე

დირექტორი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი

მთავარი ბუღალტერი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ა. მ. ტრანს“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე	მამუკა ბედინეიშვილი
დირექტორი ----------	მთავარი ბუღალტერი ----------
2025 წლის 1 ოქტომბერი	2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი	საქართველო, თბილისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1 113 532	923 515
არამატერიალური აქტივები		588	400
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1 114 120**	**923 915**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	5	2 451	3 421
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	113 925	132 966
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		93 579	64 171
წინასწარ გადახდილი გადასახადები		12 088	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		302	6 120
ფული და ფულის ექვივალენტები	7	122 254	27 471
სულ მიმდინარე აქტივები		**344 599**	**234 149**
სულ აქტივები		**1 458 719**	**1 158 064**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		904 147	890 341
სულ კაპიტალი		**904 147**	**890 341**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	446 467	205 847
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**446 467**	**205 847**
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		20 510	13 622
მიღებული ავანსები		-	-
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	81 359	44 887
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		6 236	3 367
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**108 105**	**61 876**
სულ ვალდებულებები		**554 572**	**267 723**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**1 458 719**	**1 158 064**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე

დირექტორი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი

მთავარი ბუღალტერი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ამონაგები	9	2 369 583	1 761 584
სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება	10	(2 143 266)	(1 522 920)
საერთო მოგება		**226 317**	**238 664**
სხვა შემოსავლები		3 176	12 900
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(130 009)	(80 932)
სხვა ხარჯები		(51 574)	(37 389)
საოპერაციო მოგება		**47 910**	**133 243**
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		(18 109)	(12 260)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(15 995)	2 614
მოგება დაბეგვრამდე		**13 806**	**123 597**
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		**13 806**	**123 597**
სხვა სრული შემოსავალი:		-	18 420
მთლიანი სრული შემოსავალი		**13 806**	**142 017**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე

დირექტორი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი

მთავარი ბუღალტერი ----------

2025 წლის 1 ოქტომბერი

საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

დასახელება	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022		-	**748 324**	-	**748 324**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	142 017	-	142 017
გადახდილი დივიდენდები		-	-	-	-
სარეზერვო კაპიტალის ცვლილება			-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023		-	**890 341**	-	**890 341**
სულ წლის სრული შემოსავალი		-	13 806	-	13 806
გადახდილი დივიდენდები		-	-	-	-
სარეზერვო კაპიტალის ცვლილება		-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024		-	**904 147**	-	**904 147**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 1 ოქტომბერს.

მერაბ კუტალაძე
დირექტორი ----------
2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

მამუკა ბედინეიშვილი
მთავარი ბუღალტერი ----------
2025 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი

6-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ა. მ. ტრანს“ დაფუძნებულია 2017 წლის 15 სექტემბერს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 402064617. კომპანიის 100% წილის მესაკუთრეა ფიზიკური პირი მერაბ კუტალაძე (პ/ნ 01019021150).

შპს „ა. მ. ტრანს“-ის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით ბაქრაძის ქ., N6. კომპანია არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ეკონომიკური საქმიანობის სახეებია: სატვირთო საგზაო ტრანსპორტი და გადაზიდვის მომსახურება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი მერაბ კუტალაძე (პ/ნ 01019021150).

კომპანიაში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 16 თანამშრომელი, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 17 თანამშრომელი. წლის განმავლობაში საშუალო მონაცემი შეადგენდა 14 თანამშრომელს.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია პირველი სრული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება

ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2024	2023
1 USD/GEL	2.7208	2.6234
1 EUR/GEL	3.9440	2.8365

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს სტანდარტის მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება.

რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;

2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასახვა ფაქტორზე;

3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით;

4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

2.4 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია ჩვეულებრივი ეკონომიკური საქმიანობის პროცესში გამოყენებისთვის; ბ) მონაწილეობს სატრანსპორტო გადაზიდვის მომსახურების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო გადაზიდვის პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასსა და ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს ნედლეული და მასალები და საწვავი, რაც გამოიყენება სატრანსპორტო გადაზიდვის პროცესში და მათი ხარჯვის დროს ჩამოწერილი თანხა შეადგენს გაწეული მომსახურების თვითღირებულების ნაწილს.

2.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ პირებზე გაწეული სატრანსპორტო მომსახურებისთვის მისაღები თანხებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

2.6 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენს საქონლის და მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისათვის წინასწარ გადახდილ თანხებს.

2.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია „ფული და ფულის ეკვივალენტებიდან“ ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების

პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

2.8 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით პერიოდულად შესაძლებელია დივიდენდების გაცემა.

2.9 სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტიან სესხებს მიესადაგება.

2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებთან და დამკვეთებთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

2.11 მოგების გადასახადი

მოგებიდან გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წაახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების

გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნოთვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება დაბეგვრის ე.წ. ესტონურ მოდელზე გადასულ ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება;
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
3. ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
4. გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას;
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება;
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზევით.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.12 დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაწეულ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ საქონელზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2.13 ამონაგები

კომპანია სატრანსპორტო მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია დამკვეთს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაწეულ მომსახურებაზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს: და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.14 გაწეული მომსახურების თვითღირებულება

კომპანია გაწეული მომსახურების თვითღირებულების ჩამოწერას ახორციელებს შესაბამისი შემოსავლების აღიარებისთანავე, დარიცხვის მეთოდის პრინციპის შესაბამისად.

2.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის სხვა ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.16 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.17 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტინის ანაზღაურება;
- ბონუსები.

ხელფასები, ბონუსები და სხვა სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

2.18 ჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

2.19 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება მოხდება მაშინ, როდესაც წარმოიშობა მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

კომპანია ყურადღებით აკვირდება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებმაც მნიშვნელოვანად გაზარდა მერყეობა სასაქონლო და სავალუტო ბაზარზე. მოხდა დეფიციტური საქონლის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროებიდან იდენტური/მსგავსი საქონლითა და მომსახურებით, რითაც თავიდან იქნა აცილებული საწარმოს ფუნქციონირებადობის რისკი. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

საეჭვო ვალების რეზერვი

კომპანია კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 31.12.2022	**4 009**	**-**	**541 539**	**545 548**
შემოსვლა	10 932	-	523 551	534 483
გასვლა	(11 416)	-	(81 191)	(92 607)
ცვეთის ხარჯი	(760)	-	(108 549)	(109 309)
გასული ძირ. საშ. ცვეთა	365	-	45 035	45 400
ნაშთი 31.12.2023	**3 130**	**-**	**920 385**	**923 515**
შემოსვლა	8 466	1 577	451 226	461 269
გასვლა	(4 937)	-	(205 615)	(210 552)
ცვეთის ხარჯი	(1 075)	(150)	(124 979)	(126 204)
გასული ძირ. საშ. ცვეთა	-	-	65 504	65 504
ნაშთი 31.12.2024	**5 584**	**1 427**	**1 106 521**	**1 113 532**

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ყადაღა/აკრძალვა. საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გაჩინებით აეკრძალა 100% წილიდან 50% წილის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

5. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
საწვავი	1 112	2 095
ინსტრუმენტები და სხვა მარაგები	1 339	1 326
სულ მარაგები:	**2 451**	**3 421**

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	126 467	132 966
საეჭვო მოთხოვნების კორექტირება	(12 542)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:	**113 925**	**132 966**

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
ღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	86 158	4 910
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	36 096	22 561
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	**122 254**	**27 471**

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	446,467	205,847
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	81,359	44,887
სულ სასესხო ვალდებულებები:	**527,826**	**250,735**

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე შენიშვნაში მოცემული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არის სესხები, რომლებიც შპს ა.მ. ტრანს“-ს მიღებული აქვს სს პროკრედიტ ბანკისგან და დამფუძნებლისგან. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მიმდინარე წილი წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებას. სს პროკრედიტ ბანკისგან აღებული სესხები და სესხებზე დარიცხული პროცენტები ხელშეკრულებებით ექვემდებარებოდა გრაფიკით დაფარვას გრძელვადიან პერიოდში

2028 წ., მაგრამ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მათი წინასწარი სრული დაფარვა მოხდა 2025 წლის 26 სექტემბერს. ამჟამად კომპანიას საბანკო სასესხო ვალდებულებები აღარ გააჩნია.

ზემოაღნიშნული საბანკო სასესხო ვალდებულებების სრულად დაფარვის გამო კომპანიას სავალუტო რისკი აღარ გააჩნია.

9. ამონაგები

2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავლები შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვებიდან	1 689 376	1 556 452
შემოსავალი საქართველოს ფარგლებს გარეთ სატრანსპორტო მომსახურებიდან	676 004	201 361
შემოსავალი საქართველოში სატრანსპორტო მომსახურებიდან	4 203	3 771
სულ ამონაგები სატრანსპორტო მომსახურებიდან:	**2 369 583**	**1 761 584**

10. სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება

გაწეული სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულების კომპონენტები 2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება:

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
საწვავის ხარჯი	467 593	398 937
ავტოსადგომის და საგზაო გადასახადის ხარჯი	423 926	265 442
სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების ხარჯი	390 716	227 523
მივლინების ხარჯი	202 188	138 398
შრომის ანაზღაურება	152 624	135 698
კომუნიკაციის ხარჯი	127 416	69 696
ცვეთის ხარჯი	124 979	108 549
საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვის ხარჯი	105 740	72 276
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი	64 886	53 475
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	68 181	43 800
სხვა ხარჯები	15 017	9 126
სულ სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულება:	**2 143 266**	**1 522 920**

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შედგება:

დასახელება	**31.12.2024**	**31.12.2023**
შრომის ანაზღაურება	88 467	55 389
საეჭვო მოთხოვნის კორექტირება	12 542	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	5 735	6 630
საგადასახადო ხარჯი	10 318	7 345
იჯარის ხარჯი	3 600	5 320
ცვეთის ხარჯი	1 291	860
კომუნალური ხარჯი	783	426
საინფორმაციო სერვისის ხარჯი	1 476	324
სანოტარო და საადვოკატო ხარჯები	3 335	364
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	2 462	4 274
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები:	**130 009**	**80 932**

12. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა

შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

13. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

2024 წლის განმავლობაში უმაღლესი მენეჯმენტის მიერ მიღებული ანაზღაურება ჯამურად შეადგენდა 22 959 ლარს.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები არ გააჩნია.

14. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას. კერძოდ:

2025 წლის 26 სექტემბერს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით წინასწარ სრულად დაიფარა სს პროკრედიტ ბანკისგან მიღებული სესხები და სესხებზე დარიცხული პროცენტები, მთლიანმა თანხამ 2025 წელს შეადგინა სულ 313 878 ლარი. აღნიშნული ტრანზაქციების შედეგად ამჟამად კომპანიას საბანკო სასესხო ვალდებულებები აღარ გააჩნია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.